აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მთავრობის საქმიანობის ანგარიში

2021-2022

შესავალი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები ემსახურება აჭარის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ადამიანური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორის გაძლიერებას, განათლების, ღირსეული სოციალური უზრუნველყოფის და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის განვითარებას, ადამიანის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა

აჭარაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ზრდასთან ერთად გაიზარდა ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დასაქმების პროგრამების ბიუჯეტი. მიზნობრივი ჯგუფებისათვის გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, სიახლეები დაინერგა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში, შეიქმნა ახალი პროგრამები და ქვეპროგრამები, შეიცვალა დაფინანსების მეთოდოლოგია.

აჭარაში 2018-2022 წლებში სოციალური პროექტებისა და ჯანდაცვის პროგრამების მხრივ მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა

- დაიწყო უპრეცედენტო მასშტაბის სოციალური პროექტის ე.წ. ოცნების ქალაქის მშენებლობა, რომლის პირველი ეტაპიც უკვე სრულდება. პირველ ეტაპზე ბინა 582 ოჯახს გადაეცემა. დაიწყო მეორე ეტაპის განხორციელებისათვის საჭირო პროცედურები
- აშენდა სოციალური სახლები ბათუმში, ქედასა და ხელვაჩაურში, სადაც

საცხოვრებელი ფართი 150 მდე ოჯახს გადაეცა

- სოფელ წაბლანას მკვიდრ 219 ოჯახს ბათუმში ბინები გადაეცა
- დაიწყო ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელება, 3000 ოჯახს საცხოვრისის პრობლემა მოუგვარდება
- ბათუმში 100 ოჯახისათვის სოციალური სახლები შენდება
- აჭარაში 365 ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა საცხოვრისი
- 2 152 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება
- გაიზარდა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსება
- გაიზარდა ხანძრით დაზარალებულთა დაფინანსება
- სოციალური პროგრამებით 15 000 ბენეფიციარმა ისარგებლა

2021 წელს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 27 200 000 ლარს შეადგენდა.

მნიშვნელოვანი პროგრამული სიახლეები:

- პირველად ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ რთულად სადიაგნოსტიკო პაციენტებს დაუფინანსდათ სიმსივნური ქსოვილის გენურ პროფილირებასთან (მოლეკულურ-გენეტიკური კვლევა) დაკავშირებული ხარჯები;
- გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტებისათვის თითოეულ მომართვაზე ზღვრული დაფინანსების თანხა და მედიკამენტოზური მკურნალობისათვის განსაზღვრული წლიური ლიმიტი (20 000 ლარამდე);

- დაფინანსდა გაფანტული სკლეროზის მკურნალობა მაღალეფექტური, ძვირადღირებული მედიკამენტით;
- პაციენტებს კარდიოქირურგიული ოპერაციების თანაგადახდა დაუფინანსდათ სრულად სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში;
- პირველად, ორ პაციენტს უცხოეთის სამედიცინო დაწესებულებში, დაუფინანსდა გულის გადანერგვა 200 000-2000 000 ლარის ფარგლებში;
- გაიზარდა პროგრამის - ,,ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია“ ბენეფიციართა რაოდენობა და ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 900-მდე;
- გაიზარდა ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა და ბიუჯეტი -ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 500-მდე;
- გაიზარდა ძვალ-სახსროვანი სისტემის სხვადასხვა დეფორმაციების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ფარგლებში გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა;
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, ციფრული სმენის აპარატების ღირებულების ლიმიტი გაიზარდა. ასევე, ქვეპროგრამას დაემატა პედიატრიული სმენის აპარატები;
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, ცვლილება შევიდა მექანიკური და ელექტრო სავარძელ-ეტლების ღირებულების ლიმიტებთან მიმართებაში.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ცალკეული დამხმარე საშუალებების ღირებულების ლიმიტი;

2021-2022 წლებში აჭარაში მოსახლეობას ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და დასაქმების მიმართულებით 57 828 სახის სხვადასხვა სერვისი მიეწოდა:

- ჯანმრთელობის დაცვის სერვისი 11 100 მოქალაქეს;
- სოციალური დაცვის სერვისი 5 398 მოქალაქეს;
- დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის მიზნით 41 086 მოქალაქეს ჩაუტარდა სკრინინგული და სხვა კვლევა;
- დასაქმების სერვისი - გადამზადდა 244 მოქალაქე.

ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო

2021 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან 2 439 675 ლარი გამოიყო ქალაქ ბათუმის 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს აღჭურვის, ფუნქციონირების, რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და საკარანტინე სივრცეების სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფისათვის. მრავალპროფილური თანამედროვე სტანდარტების საავადმყოფო მოქალაქეებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს. რესპუბლიკური საავადმყოფო აღჭურვილია უახლესი სამედიცინო ინვენტარით. კლინიკაში თავდაპირველად განთავსებული იყო COVID19-ის ცხელების ცენტრი, მოგვიანებით დაიწყო კოვიდ პაციენტების მართვა. საავადმყოფო აჭარაში ყველაზე მძლავრი კოვიდ მიმღები დაწესებულება იყო.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

აჭარის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ეკომიგრანტი ოჯახების დახმარება. ამ მიზნით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია სპეციალური პროგრამა, რომლის საშუალებით, ბოლო **2021 წლიდან დღემდე თანადაფინანსებით საცხოვრებელი ფართი 90-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა**.

2022 პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 3 080 000 ლარამდე, დაგეგმილია 100 საცხოვრებელი ფართის შეძენა.

- 2022 წელს გაიზარდა ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის'' დაფინანსება, ნაცვლად 25 000 ლარისა ეკომიგრანტი ოჯახები 30 000 ლარით ფინანსდებიან;
- ასევე გაიზარდა ხანძრით დაზარალებულთა დაფინანსება ნაცვლად 10 000 ლარისა, 15 000 ლარით.

სარეზერვო ფონდი

- 2021 წლიდან დღემდე აჭარის სარეზერვო ფონდიდან, სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ 359 ოჯახზე გაიცა ფინანსური დახმარება 2 711 064 ლარის ოდენობით.
- 2021 წელს პაციენტების მკურნალობის, ერთჯერადი მატერიალური დახმარებისა და მედიკამენტების შესაძენად გამოიყო 3 949 993 ლარი. მიმდინარე წელს ამავე მიზნით სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 948 712 ლარი.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი

2022 წლის ბიუჯეტი გასული წლის ბიუჯეტთან მიმართებაში 1 432 100 ლარით გაიზარდა და 28 432 100 ლარს შეადგენს. სამინისტრო წელს საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად 36 პროგრამას ახორციელებს.

2022 წელს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა:

- ქვეპროგრამების ბენეფიციარებს დაემატა ახალი მოწყვლადი ჯგუფი - საოჯახო ტიპის საცხოვრებელ სახლში მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 0 დან-18 წლამდე ასაკის ბავშვები-რომლებიც სახელმწიფო ტარიფის ფარგლებში ფინანსდებიან სრულად;
- პირველად ფინანსდება იდიოპათიური მაანკილოზირებელი სპონდილიტით, ფსორიაზითა და ფსორიაზული ართრიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა ძვირადღირებული ბიოლოგიური მედიკამენტებით;
- მოიმატა პროგრამულად დაფინანსებული გაფანტული სკლეროზით დაავადებული პაციენტების რაოდენობამ
- პაციენტებს დაუფინანსდათ ძვირადღირებული ძვლის ტვინის ჰაპლოიდური ტრანსპლანტაციის ღირებულება 180 000 ლარით. მოიმატა ასევე ძვლის ტვინის ალოგენური ტრანსპლანტაციის ღირებულების დაფინანსება 160 000 ლარამდე (ნაცვლად 150 000 ლარისა);
- მოზრდილ მოსახლეობას პირველად მოთხოვნის შესაბამისად ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია უფინანსდებათ საზღვარგარეთის სამკურნალო დაწესებულებებშიც.
- მოიმატა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებისათვის მკურნალობისათვის საჭირო სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების დაფინანსების წლიური ლიმიტი 23 000 ლარამდე (ნაცვლად 20 000 ლარისა);

- ავთვისებიანი სიმსივნით დაავადების მქონე პაციენტებისათვის გაიზარდა იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროცენტული წილი, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება;
- გაიზარდა საზღვარგარეთ მკურნალობის ღირებულების დაფინანსების წილი ბენეფიციარებს მოთხოვნილი თანხის 80% (ნაცვლად 70% ისა) არაუმეტეს 30 000 ლარისა, (ნაცვლად 25 000 ლარისა);
- მოსახლეობისათვის სახსრების ენდოპროთეზირების ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით გაიზარდა ბენეფიციარების დაფინანსების ზღვრული ლიმიტი 7000-ლარამდე, ნაცვლად 5000 ლარისა.

2022 წელს დაიწყო მნიშვნელოვანი პროგრამის, უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება. უშვილო წყვილებისთვის თანამედროვე რეპროდუქციული სამედიცინო სერვისების პროგრამულად დაფინანსდება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ქვეპროგრამით შესაძლებელი იქნება უშვილო წყვილებისათვის სამედიცინო სერვისების დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა. წლის განმავლობაში უნაყოფო წყვილებს დაუფინანსდებათ უნაყოფობის დიაგნოსტირება და მკურნალობა. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში კანონიერ ქორწინებაში მყოფი უნაყოფო წყვილები. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ 200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და შშმ სტატუსის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უწყვეტად არიან

რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 2 წლის ვადით. აღნიშნული სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება სოციალური სტატუსის გათვალისწინებით 80% დან -100%-მდე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

2021 წელს განხორციელებული ღონისძიებები:

- სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა - ისარგებლა 44 ბენეფიციარმა;
- მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა - ისარგებლა 576 ბენეფიციარმა;
- ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში - ისარგებლა 258 ბენეფიციარმა;
- აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში - ისარგებლა 152 ბენეფიციარმა;
- C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა - ისარგებლა 27 133 ბენეფიციარმა;
- ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში - ისარგებლა 4313 ორსულმა;
- ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა - წელს 8 300 ბენეფიციარს შეუძლია სარგებლობა.

2022 წელს, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრას, გაფართოვდა. 2022 წლიდან პროგრამით 8-14 წლამდე მოზარდები სარგებლობენ.

დასაქმების მიმართულები განხორციელდა პროგრამული სიახლეები

- ტურიზმისა სფეროში სამუშაო გამოცდილებისა და განათლების მქონე პირთა გადამზადება საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს 25 მოსარგებლის სწავლებას, სამგზავრო გემებზე დასაქმების უზრუნველსაყოფად. სასწავლო კურსი მოიცავს პროფესიული მიმართულებით უნარების განვითარებას, უცხო ენის ცოდნის ამაღლებას და საზღვაო ფლოტში მომუშავე ყველა წოდების მეზღვაურისათვის შესაბამისი მასერტიფიცირებელ კურსს STCW კონვენციისა და IMO მოდელ კურსებს.
- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს პროგრამის - სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმება- ამ დროისათვის მოსარგებლედ რეგისტრირებულია აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები 21978 პირი; პროგრამის ფარგლებში დამუშავდა 1688 ვაკანსია; სულ ამ დროისათვის დასაქმებულია 614 სოციალურად დაუცველი პირი

დასაქმების მიმართულებით 2021 წლის მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

- პროფესიული უნარების შეძენა/ამაღლების მსურველ სამუშაოს მაძიებელთა მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში მომზადდა 52, დასაქმდა 70%;
- დაბრუნებულ მიგრანტთა რეგიონალურ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის მხარდაჭერა, დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების ზრდით სწავლება გაიარა 20, დასაქმდა 80%;
- სტუდენტების შრომითი უნარების განვითარება სამუშაო გამოცდილების მიღების გზით, მათი შრომის ბაზარზე დამკვიდრებისა და თვითრეალიზებისათვის სწავლება გაიარა 50, დასაქმდა 46%;

- სამუშაო გამოცდილების და ინდივიდუალური განათლების მქონე პირის, კვალიფიკაციის სრულყოფა, სამუშაოსთან თავსებადი გადამზადების მოკლევადიანი კურსის შეთავაზებით და სერტიფიცირების გზით გადამზადდა კადრი;

<u>2021 წლიდან დღემდე სააგენტოს საშუამავლო საქმიანობის შედეგად დასაქმდა 1 036 ადამიანი.</u>

ბოლო წლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო გლობალური პანდემია, რამაც დიდი გავლენა იქონია ეკონომიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

პანდემიის გავრცელებისთანავე საქართველოს ხელისუფლებასთან კოორდინაციაში არაერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, რომელიც მიმართული იყო ვირუსის მართვის, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის, პანდემიის შეკავების, შესაბამისი მატერიალური და ადამიანური თუ ტექნიკური რესურსის გამართვის უზრუნველყოფის მიმართულებით.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე უმოკლეს დროში უახლესი სამედიცინო ინვენტარით აღიჭურვა ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო, რომელიც სრულად აკმაყოფილებს კოვიდ ცენტრისთვის საჭირო ყველა სტანდარტს. ინფექციის კონტროლის საკითხებზე მომზადდა და გადამზადდა რეგიონის ჰოსპიტალური სამედიცინო სექტორი, შეძენილ იქნა სამედიცინო ეკიპირება, მედიკამენტები. მოქალაქეების უსაფრთხოებისა და ახალი კორონავირუსის მასშტაბური გავრცელების პრევენციის მიზნით, აჭარაში 60 მდე საკარანტინო ზონა შეირჩა. მოხდა სასტუმროების და არსებული სერვისების ადაპტირება. კოვიდის მართვა მიმდინარეობდა 16 საავადმყოფოში, მომსახურება გაეწია 30 000-მდე პაციენტს;

აჭარა აქტიურად ჩაერთო ვაქცინაციის პროცესში. **დღეის მდგომარეობით აჭარაში ადმინისტრირებულია 341 295 დოზა ვაქცინა.**

ქვეყნის მასშტაბით პანდემიის აქტიურ პერიოდში მოქალაქეების ხელშეწყობის მიზნით, მიღებულ იქნა არაერთი გადაწყვეტილება კომუნალური ხარჯების სრულად დაფარვის მიზნით, განხორციელდა საბანკო სესხების გადავადება, განისაზღვრა დახმარება თვითდასაქმებულებისა და მათთვის ვინც სამსახური დაკარგა.

- აჭარაში 1000-ზე მეტ სტუდენტს სწავლის საფასური დაუფინანსდა. პანდემიის პირობებში არაერთი სტუდენტი დადგა ფინანსური პრობლემის წინაშე, რაც სწავლის საფასურის გადახდას უკავშირდებოდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მონაწილეობით, აჭარაში მოქმედ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით 1000-ზე მეტ სტუდენტს, ვისაც მოცემული მომენტისთვის ჰქონდათ დავალიანება და მათი სოციალური ქულა 150 000-მდე, დაუფინანსდა გადასახადი ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გამოიყო.

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ტურისტული სექტორი 2021 წლის ქონების გადასახადისგან გათავისუფლდა. შესწავლილ იქნა სექტორში არსებული სიტუაცია, გამოწვევები, რომელიც ტურიზმის სექტორს დაუგროვდა, კოვიდის გამო ყველაზე მეტად დაზარალდა ეს სექტორი, მათ შორის, სასტუმრო და სარესტორნო ინდუსტრია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, კორონავირუსის გავრცელების ფონზე, **საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით**, სხვადასხვა ინიციატივა განხორციელდა:

- ძალაში შევიდა დადგენილების პროექტი, რომელიც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესს ითვალისწინებს. კერძოდ, ინვესტორებს მიეცათ დამატებითი 18 თვიანი საშეღავათო პერიოდი საინვესტიციო ვალდებულებების შესასრულებლად. 2020-2021 წლებში არსებული საპრივატიზებო საფასურის გადასახდელად ვადა წლის ბოლომდე მიეცათ.
- აღნიშნული დადგენილებისა და მის საფუძველზე გამოცემული განკარგულების შესაბამისად, ინვესტორები პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, 6 თვის **სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან** გათავისუფლდნენ, **ხოლო არსებული დავალიანების დასაფარად ვადა 2021 წლის ივლისამდე მიეცათ.**

გლობალური გამოწვევების მიუხედავად არ შეჩერებულა ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკონომიკური პროექტების განხორციელება. აჭარის მთავრობა ახორციელებს აქტიურ და შედეგზე ორიენტირებულ პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის გაძლიერებას, ტურიზმის სტიმულირებას, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური და ჯანდაცვის პროექტების განხორციელებას.

განათლება, კულტურა, სპორტი

განათლება პრიორიტეტია, რომელიც გრძელვადიან შედეგებზეა გათვლილი. განათლების ყველა საფეხურზე მიმდინარე რეფორმის მიზანია სისტემური განვითარება. გლობალური პანდემიის ყველა ეტაპზე განათლების შესაბამისი უწყებების მიერ უზრუნველყოფილი იყო საგანმანათლებლო, სამეცნიერო,

კულტურულ და სპორტულ სივრცეებში უსაფრთხო გარემო, განათლების უწყვეტობა და ხელმისაწვდომობა.

პანდემიის მიუხედავად, სასკოლო-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტები შეუფერხებლად გაგრძელდა. შექმნილი ეპიდვითარებიდან გამომდინარე დაინერგა დისტანციური სწავლება, დამტკიცდა დისტანციური სწავლების წესი, რამაც უზრუნველყო სასწავლო პროცესის წარმართვა, განხორციელდა სკოლების მონიტორინგი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას და განათლების ხარისხის ზრდას. განათლების ხუთივე საფეხურზე რეგიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის, ასევე კვალიფიციური კადრების მომზადების კუთხით.

აჭარაში 2018-2022 წლებში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა:

- ბათუმში შენდება განათლების ქალაქი
- აშენდა 11 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 50 სკოლას. მიმდინარეობს 15 სკოლის რეაბილიტაცია და 4 სკოლის მშენებლობა
- გაიხსნა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კამპუსი
- აშენდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საწვრთნელი აუზი
- დასრულდა პროფესიული სასწავლებლების მშენებლობა ხულოში, შუახევსა და ქედაში, მაღალმთიანი აჭარის სამივე მუნიციპალიტეტში პროფესიულმა სასწავლებლებმა დაიწყეს ფუნქციონირება.
- აშენდა ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების კვლევითი ინსტიტუტი
- ბათუმში გაიხსნა ტექნოპარკი
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტს

- მიმდინარეობს კავკასიის უნივერსიტეტის მშენებლობა
- დასკვნით ეტაპზეა ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესი
- აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 30 საბავშვო ბაღს. მიმდინარეობს 12 ბაღის მშენებლობა

2018-2022 წლებში სწავლა დაუფინანსდა 5000 ზე მეტ სტუდენტს.

სკოლამდელი განათლება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განისაზღვრა თანამშრომლობა ბავშვთა უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი თემის, აკადემიური წრეებისა და ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების დონეზე, ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მიმართულებით იგეგმება ინოვაციური მიდგომების დანერგვა.

UNICEF-თან გაფორმებული თანამშრომლობის ფარგლებში შერჩეული 10 საპილოტე ბაღის მხარდასაჭერად შემუშავდა პილოტირების გეგმა. პროექტის მიზანია ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის მხარდაჭერა და პერსონალის გაძლიერება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების პრინციპების, ძირითადი მიმართულებებისა და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხების კუთხით. პროექტის ფარგლებში გადამზადდა აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის 180 ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტი.

ადრეული განათლების დაწესებულებებში მომსახურების ხარისხის გაზრდისა და სახელმწიფო სტანდარტების დაცვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანი აქტივობები ხორციელდება.

ზოგადი განათლება - დისტანციური სწავლების შემდეგ სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში გაგრძელდა. პანდემიის პირობებში სწავლის პირისპირ განახლებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვის აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ **85%-ს აღემატება ვაქცინირებულ პირთა რაოდენობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.**

ბათუმის მე-20 საჯარო სკოლაში უკრაინულენოვანი სექტორი დაფუძნდა. უკრაინელ მოსწავლეებს ბათუმში მშობლიურ ენაზე ექნებათ ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა. სასწავლო პროგრამა ეფუძნება უკრაინულ პროგრამას, დამატებით მოსწავლეები შეისწავლიან ქართულ ენას.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

აჭარაში განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება შეუფერხებლად მიმდინარეობს. ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ტარდება კონკურსები და ოლიმპიადები, ფინანსდება სტუდენტების განათლება, მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

განსაკუთრებული ყურადღება საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ინვენტარით აღჭურვას ეთმობა.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა

სასკოლო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიმართულებით უპრეცედენტო მასშტაბის პროექტები ხორციელდება აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში.

2019 წელს დაიწყო 8 საჯარო სკოლის მშენებლობა. ასევე, 2 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობა. მათგან ერთი სკოლის მშენებლობა დასრულდა 2020 წელს, 3 სკოლის მშენებლობა დასრულდა 2021 წელს, ხოლო 4 დასრულდება 2022 წელს.

2021 წელს 40 საჯარო სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა, ერთი სპორტდარბაზის მშენებლობა, დაიწყო ბათუმის N15 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია, კალოთის საჯარო სკოლის მშენებლობა და ზედა განთიადის სპორტდარბაზის მშენებლობა, რომლებიც დასრულდება 2022 წელს.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მიმართულებით 2021 წელს გაიხარჯა 14 მლნ. ლარი, ხოლო 2022 წელს ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგინა 17 802 460 ლარი. ამასთან მიმდინარე წელს კიდევ დაგეგმილია ქვეპროგრამის ბიუჯეტის ზრდა.

2022 წელს დაგეგმილია 8 საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოების დაწყება, 43 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და 26 საჯარო სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროექტები:

ბათუმი: დასრულდა ბათუმის N6 და ბათუმის N23 საჯარო სკოლების მშენებლობა, 2021 წელს დაიწყო ბათუმის N15 სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა/რეკონსტრუქცია, რომელიც დასრულდება 2023 წელს. 2021 წელს დაიწყო

და გრძელდება ბათუმის N2, N9, N26 და N30 საჯარო სკოლების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე იწყება ბათუმის N22 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

2022 წელს იგეგმება ბათუმის ახალი საჯარო სკოლის, ბათუმის N14 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის, ბათუმის N16 საჯარო სკოლის და ბათუმის N31 საჯარო სკოლების მშენებლობის დაწყება.

ქობულეთი: დაწყებულია და გაგრძელდება ციხისძირის, დაგვას, ბუკნარის, კვირიკეს N2 და სკურას საჯარო სკოლების სრული სარეაბილიატაციო სამუშაოები. 2021 წელს დაიწყო და დასრულდა ზენითის სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა. მიმდინარეობს სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლის მშენებლობა.

2022 წელს ასევე იგეგმება ბობოყვათის, კოხის, ცეცხლაურის N1, გვარას, ქობულეთის N5 საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაციის დაწყება.

ხელვაჩაური: დასრულდა ფერიის საჯარო სკოლის მშენებლობა. დასრულების ეტაპზეა ქედქედის საჯარო სკოლის და მახოს საჯარო სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა. 2021 წელს დაიწყო განთიადის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია და სპორტდარბაზის მშენებლობა, რომელიც დასრულდება 2022 წელს.

2022 წელს იგეგმება წინსვლის საჯარო სკოლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ასევე ქვემო ახალშენის, ახალშენის N1 და ერგეს საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოები.

ქედა: მიმდინარეობს დაბა ქედის საჯარო სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა. დასრულდება გეგელიძეების საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, გრძელდება ვაიოს და ახოს N1 საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

შუახევი: დასრულების ეტაპზეა დაბა შუახევის საჯარო სკოლის მშენებლობა. დასრულდა სხეფის და ჭვანის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. გრძელდება

ბარათაულის და გოგინაურის საჯარო სკოლების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2022 წელს ასევე იგეგმება ცხემლისისა და გომარდულის საჯარო სკოლების სახურავების რეაბილიტაცია.

ხულო: დასრულების ეტაპზეა განახლების საჯარო სკოლის მშენებლობა. გრძელდება ბეღლეთის საჯარო სკოლის მშენებლობა. გრძელდება ღორჯომის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობს კალოთის სკოლის მშენებლობა, რომელიც დასრულდება 2022 წელს.

2022 წელს იგეგმება ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლის მშენებლობა, დანისპარაულისა და უჩხოს საჯარო სკოლების მშენებლობა, ასევე ხიხაძირის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყება.

განათლების და მეცნიერების ქალაქი - ბათუმში განათლებისა და მეცნიერების ქალაქის მშენებლობა მიმდინარეობს. უკვე დასრულდა ახალი სკოლის მშენებლობა, საცხოვრებელი კამპუსით, რომელიც იქნება ფიზიკა-მათემატიკის პროფილის.

განათლების ქალაქში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკით, თანამედროვე, საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სამეცნიერო მუზეუმით.

პროექტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ერთად ხორციელდება. ამავე სივრცეში აშენდება:

- პროფესიული სასწავლებელი;
- მულტიფუნქციური ცენტრი;
- ხელოვნების სკოლა;
- მოეწყობა რეკრეაციული ზონა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, აჭარის მთავრობა დაიწყებს სახელოვნებო სკოლის მშენებლობას, რომელშიც 5 სკოლა იფუნქციონირებს. მასში, გარდა სასწავლო ოთახებისა, განთავსდება საამქროები, გალერეა, საკონცერტო დარბაზი, ამფითეატრი.

ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქში აშენდება პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი". დაწყებულია სატენდერო პროცედურები საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაძლიერებაში აჭარის მთავრობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსების გარდა, მნიშვნელოვანი და მოცულობითი პროექტები **ხორციელდება კერძო სექტორის მხრიდან და საერთაშორისო მხარდაჭერით.**

2020 წელს ჩაეყარა საფუძველი ორი ახალი კერძო საგანმანათლებლო კერის მშენებლობას: **ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი** და **კავკასიის უნივერსიტეტი,** სადაც ასევე იფუნქციონირებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ახალგაზრდები საერთაშორისო სტანდარტების განათლებას ადგილზე დაეუფლებიან.

ბათუმში 13 საჯარო სკოლა მზის ელექტროსადგურებით აღიჭურვა. პროექტი განხორციელდა ,,საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისა" და ლიეტუვური კომპანია შპს,,Via Solis"-ის პარტნიორობით.

ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ქედის ყველა საჯარო სკოლაში დაინერგება ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, რაც გულისხმობს სკოლების ენერგეტიკული უზრუნველყოფის გაუმჯობესებას. პროექტის განსახორციელებლად გაფორმდა მემორანდუმი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

ევროკავშირის სოფლის განვითარებისა და ავსტრიის განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე შეტანილი განაცხადის დაფინანსება მოხდა.

CENN დემოკრატიის ინსტიტუტი და ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ქედა ლიდერისა" და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით 2021 წელს დაიწყო პროექტის: ,,ენერგეტიკული და ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვა-გაუმჯობესების ხელშეწყობა ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში" განხორციელება.

2022 წელს დაგეგმილია ქედის მუნიციპალიტეტის 29 საჯარო სკოლაში მზის პანელების მონტაჟი.

სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება - აჭარაში 15 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა **აღიჭურვა** თანამედროვე მხატვრული ლიტერატურით. ჯამში 229 საჯარო სკოლიდან **160-ზე მეტი სკოლა განახლებულია სასკოლო ბიბლიოთეკით.** სკოლებში შეტანილია 400-ზე მეტი დასახელების საბავშვო, სამეცნიერო, თანამედროვე თუ კლასიკური მხატვრული ნაწარმოებები.

განხორციელდა ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის რემოდელირება. ასევე, ახალი კონცეფციით მოეწყო ბიბლიოთეკა ფერიის საჯარო სკოლაში.

- **აჭარაში 5** საჯარო სკოლა **აღჭურვილია** ფიზიკის ელექტრონული ლაბორატორიით.
- 10 საჯარო სკოლა **უზრუნველყოფილია** სპორტული ინვენტარით.
- 4 საჯარო სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიების კომპლექტით.
- 10 საჯარო სკოლა აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტით.

2022 წელს დაგეგმილია: 15 საჯარო სკოლის სასკოლო ინვენტარით აღჭურვა; 2 საჯარო სკოლის ტექნოლოგიებით აღჭურვა; 10 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის განახლება თანამედროვე მხატვრული და სხვ. ლიტერატურით; 1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის რემოდელირება. 10 საჯარო სკოლის სპორტული ინვენტარით აღჭურვა. 16 საჯარო სკოლის მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტით აღჭურვა. დაგეგმილია 4 საზაფხულო სკოლის მოწყობა.

არაფორმალური განათლების კუთხით ხორციელდება კონკურსები და ოლიმპიადები.

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის განხორციელების მიზანია - საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა. 2021 წელს ქვეპროგრამის განხორციელებაზე დაიხარჯა 3 841 900 ლარი.

2022 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტია 4 008 700 ლარი. დაგეგმილია ბიუჯეტის ზრდა.

ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა - **ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის ფარგლებში ხორციელდება შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინება და შენობის ადაპტირება;** ბათუმის N26 საჯარო სკოლაში ინკლუზიური სწავლება განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 40 მოსწავლისათვის.

ბათუმის N3 საჯარო სკოლაში განხორციელდა შემოქმედებითი უნარების განვითარება-არტ-თერაპია და ინკლუზიური სპორტი მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის.

ბათუმის N17 საჯარო სკოლაში განხორციელდა აუტისტური სპექტრის მოსწავლეების საგანმანათლებლო მომსახურება - მოსწავლეები სასწავლო პროცესის განმავლობაში

უზრუნველყოფილი არიან მათვის საჭირო სასწავლო საგანმანათლებლო მომსახურებით. 2022 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტია 253 000 ლარი.

ინკლუზიური განათლების გაძლიერების მიმართულებით განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს UNICEF Georgia-თან ნორვეგიის საელჩოს ინკლუზიური განათლების გრანტის ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში, აჭარის ორ მუნიციპალიტეტში (ქედა, ქობულეთი) შეიქმნება ინკლუზიური განათლების ცენტრები იმ სკოლის ბაზაზე, რომლებიც მომსახურებას გაუწევს თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო და არტთერაპიული აქტივობების შეთავაზების გზით. 2022 – 2023 წლებში გრანტის ოდენობა - 411 000 ლარი

ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ქედა, შუახევი, ხულოს საჯარო სკოლებში დასაქმდა 27 მასწავლებელი

- ხულოს მუნიციპალიტეტში დასაქმებულია 20 მასწავლებელი
- შუახევის მუნიციპალიტეტში დასაქმებულია 4 მასწავლებელი
- ქედის მუნიციპალიტეტში დასაქმებულია 3 მასწავლებელი

  2022 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი 450 000 ლარს შეადგენს.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და ესტონეთი-საქართველოს პარტნიორობის გაზრდა ზოგადი განათლების სფეროში ბავშვების უკეთესი სწავლის შედეგების მისაღწევად

სასწავლო გეგმის განხორციელების მოდელის საფუძველზე, რომელიც შემუშავდა **UNICEF - ესტონეთი - საქართველოს** პარტნიორობის ფარგლებში, დაიწყო ახალი **სკოლის მოდელის** დანერგვა, რომლის მიზანია 2024 წლისთვის საქართველოს ყველა

საჯარო სკოლის დაფარვა. აღნიშნული პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოში ბავშვების ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება მასწავლებლებისა და დირექციის შესაძლებლობების განვითარების გზით. პროექტის მოსალოდნელი შედეგია საქართველოში მასწავლებლებისა და დირექციის შესაძლებლობების გაზრდა თანამედროვე, ბავშვზე ორიენტირებულ ზოგად განათლებაში, დისტანციური სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიის ჩათვლით. აღნიშნულ პროცესში ჩართულია **აჭარის 30 საჯარო სკოლა.** პროექტის ხანგრძლივობა: 16 თვე (2021 წლის აპრილი - 2022 წლის ივლისი).

პროფესიული განათლება - პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით აჭარაში ახალი პროფესიული სასწავლებლების მშენებლობა, პედაგოგთა გადამზადება აქტიურად მიმდინარეობს.

შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში დაიწყო ფუნქციონირება ახალმა პროფესიულმა სასწავლებლებლებმა. უკვე მოქმედებს პროფესიული სასწავლებელი ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში. მთავრობა აგრძელებს პროფესიული განათლების ხელშეწყობას და პროფესიულ სასწავლებლებში დასაქმებული ლექტორების გადამზადებას კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სტაჟირების გავლის შესაძლებლობა პროფესიული განათლების მქონე პირებსა და სტუდენტებს მიეცათ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული განათლების მქონე პირები და სტუდენტები არ დარჩებიან სტაჟირების გავლის შესაძლებლობის მიღმა. ასევე, ვიწრო სპეციალიზაციის მქონე კადრები მაქსიმალურად ჩაერთვება სტაჟირების პროგრამაში.

ცვლილება განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებაში, რომლის მიხედვით, სტაჟირების გავლის შესაძლებლობა

აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირებს ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს ჰქონდათ.

უმაღლესი განათლება - აჭარაში უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით მიმდინარეობს სტუდენტების, ლექტორ-მასწავლებლების მხარდაჭერა და ინსტიტუციური გაძლიერება.

სტუდენტთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებას. დაფინანსება გაიცემა წლის სემესტრში 1125 ლარის ოდენობით.

დაფინანსება ვრცელდება სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებზე, მათ შორის სტუდენტებზე მაღალმთიანი აჭარიდან, მრავალშვილიანი ოჯახის წევრებზე, სტუდენტებზე, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 100 000-ზე.

2021 წელს სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1266 სტუდენტი – **1 373 300** ლარი. 2022 წელს პროგრამის **ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგენს 1 500 000 ლარს.**

სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და რეგიონში მოქმედ სამ სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასური დაუფინანსდება **1000 სტუდენტს** სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც დავალიანება წარმოექმნათ პანდემიის პერიოდში. აღნიშნული პროექტის ბიუჯეტია **800 000 ლარი.**

სწავლა საზღვარგარეთ - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს პროგრამას - სწავლა საზღვარგარეთ. პროგრამის მიზანია ახალგაზრდა და ნიჭიერი კადრების აკადემიური განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და გამოცდილების შეძენა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი პოტენციალის განვითარებას.

2021 წელს პროგრამის ფარგლებში 36 სასწავლო გრანტი დაფინანსდა. ბიუჯეტი - 665 000 ლარი. 2022 წელს იგეგმება კიდევ ერთი სიახლე **ბაკალავრებისთვის.** პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი სემესტრის მანძილზე სტუდენტს, რომელსაც აქვს საქართველოში შესაბამისი უნივერსიტეტიდან თანხმობა გაცვლის თაობაზე შემდგომში კრედიტების აღიარების და საქართველოში სწავლის გაგრძელების პირობით, 10 000 ლარის ფარგლებში დაფინანსდება.

სტაჟირება უცხოეთში ითვალისწინებს პროფესიულ სტაჟირებას 3-7 თვის განმავლობაში ევროპის ასამბლეის წევრ ქვეყნებში. 2022 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 900 000 ლარს.

სასკოლო გარემოში სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. უწყვეტად ხორციელდება სკოლების აღჭურვა სასკოლო ინვენტარით, ბიბლიოთეკებით, ლაბორატორიებით, სპორტული და მუსიკალური ინსტრუმენტებით. **2022 წელს ქვეპროგრამას დაემატა 2 კომპონენტი: ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ფორუმი და საერთაშორისო კონფერენცია - ადრეული განათლება და ზრუნვა. 2022 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 620 000 ლარს.**

მითითებული საკონკურსო პროგრამების გვერდით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ მხარდაჭერას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბათუმის აჭარის მთავრობის ხელშეწყობით არა ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი

განახორციელა. გაიხსნა ევროპული სტანდარტების, 200 სტუდენტზე გათვლილი ახალი საცხოვრებელი, ექსპლუატაციაში შევიდა თანამედროვე ციფრული ტექნიკით აღჭურვილი სინქრონული თარგმანის ლაბორატორია, აშენდა ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების კვლევითი ინსტიტუტი; შეძენილია ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. დაფინანსდა სტუდენტების სასწავლო პრაქტიკა უცხოეთში. 2021 წლის ბიუჯეტი - 1 110 200 ლარია, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტი 2 314 00 ლარს შეადგენს.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

- დასრულდა მრავალფუნქციური ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედნისა (ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი) და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები - 476,7 ათასი ლარი.
- შეძენილი იქნა სასწავლო სიმულატორები და მასთან დაკავშირებული შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა - 223,3 ათასი ლარი.
- საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის 6 თვიან საზღვაო პრაქტიკით უზრუნველყო 18 სტუდენტის გაგზავნა - 100,0 ათასი ლარი.

2021წლის ბიუჯეტი - 800 000 ლარი.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური გაუმჯობესების და რიგი პროექტების მიმართულებით 2021 წელს 1 040 000 ლარი გამოიყო. გაიზარდა პროფესორ-მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, უმჯობესდება უნივერსიტეტის ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის და კინო-ტელე ხოლოვნების დეპარტამენტის სასწავლო ბაზა. 2022 წლის ბიუჯეტი 1 099 000 ლარს შეადგენს.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ახალი შენობა **2019 წელს გაიხსნა,** რომლის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 3 600 000 ლარით დაფინანსდა.

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი ემსახურება სტუდენტებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერას, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდის პროგრამების შეთავაზებას, მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების რეალიზების ხელშეწყობას.

2021 წელს ცენტრის პრიორიტეტებად გამოიკვეთა მოხალისეობრივი საქმიანობა, კარიერული განვითარების ხელშეწყობა და შემეცნებითი ღონისძიებების მხარდაჭერა.

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი, პანდემიის დროს აქტიურად იყო ჩართული მოხალისეობრივ საქმიანობაში. ასევე, განსაკუთრებით დიდი სამუშაოები ჩატარდა უკრაინის მხარდასაჭერად საქველმოქმედო (ჰუმანიტარული) ტვირთის შეგროვება-დახარისხების პროცესში.

ახალგაზრდობის ცენტრმა განახორციელა 15-მდე ღონისძიება, სადაც ჩართული იყო 2000-მდე ახალგაზრდა. ცენტრი ახალგაზრდობის კარიერული განვითარების მხარდაჭერად ახორციელებს ისეთ პროგრამებს როგორიცაა - ანაზღაურებადი სტაჟირება, ახალგაზრდა მეწარმეებისა და სტარტაპერების მხარდაჭერა. ცენტრის ხელშეწყობით ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, პრაქტიკული გადამზადების კურსების საშუალებით განავითარონ პროფესიული უნარები.

2022 წელს დაგეგმილია 30-ზე მეტი ღონისძიება: საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა, გრაფიკული დიზაინის და ფოტოგრაფიის კურსი, ლიტერატურული ჰაბი, კარიერული განვითარების მხარდაჭერა, ლიდერთა სკოლა, თანამედროვე გამოწვევების აკადემია, აჭარის ღია

სასკოლო ჩემპიონატი, საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი, ახალგაზრდა მეწარმეებისა და სტარტ-აპერების მხარდაჭერა.

კულტურა - აჭარა გამოირჩევა კულტურული რესურსების, ფესტივალებისა და სხვა კულტურული აქტივობების მრავალფეროვნებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით. აჭარის მთავრობა ხელს უწყობს რეგიონში ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას.

გაგრძლდა კულტურის სფეროში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა.

ფოლკლორის მიმართულებით განხორციელდა - 32 პროექტი. გამოიცა ,,აჭარული ორნამენტების" ციფრული კატალოგი, **ჩატარდა** საოჯახო ანსამბლების კონკურსი, განხორციელდა რადიოს არქივში დაცული ისტორიული ღირებულების მქონე ჩანაწერების შესწავლა, დამუშავება და გამოცემა, ასევე **ფოლკლორული ანსამბლებისთვის სასცენო სამოსის შეძენა**.
მიმდინარეობს საგრანტო პროექტების, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება; როგორც ხელოვანების მხარდაჭერის გზით, ასევე, აჭარაში მოღვაწე თავისუფალ ხელოვანებთან, მუსიკალურ ბენდებთან, ინდივიდუალურ შემსრულებლებთან თანამშრომლობით.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში გაიმართა 11 ფესტივალი თეატრის, კინოს, კლასიკური და ტრადიციული მუსიკის, მხატვრობის, ლიტერატურის, თანამედროვე ხელოვნების მიმართულებით.

გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახელობის რეაბილიტირებული მუზეუმი; არქეოლოგიის მუზეუმში წყალქვეშა **არქეოლოგიის მცირე დარბაზი.** ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმი გადაიქცა ძლიერ საგანმანათლებლო-შემეცნებით სივრცედ.

ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურის დაწესებულებებში:

- თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ადაპტირება განხორციელდა
- ზაქარია ფალიაშვილის და რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლებს რეაბილიტაცია ჩაუტარდა

კულტურის მიმართულებით ბიუჯეტი გაიზარდა და 2022 წელს შეადგენს 20 115 704 ლარს:

- გაგრძელდება ბათუმის, როგორც ფესტივალების ქალაქის პოზიციონირება და ჩატარდება არანაკლებ 10 საერთაშორისო ფესტივალი
- წლის განმავლობაში კულტურის დაწესებულებების და თავისუფალი არტისტების ჩართულობით განხორციელდება 350-ზე მეტი ღონისძიება
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი და უნიკალური პროექტები;
- ბათუმში დაიწყება კიდევ ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია, რომელშიც „სულიკო ჟღენტის სახელობის ბათუმის კინოს მუზეუმი“ განთავსდება
- გაგრძელდება ინკლუზიური და ინტეგრირებული პროექტების აქტიური მხარდაჭერა

კულტურული მემკვიდრეობა

- 2018-2021 წლებში **პეტრას ციხის** ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მოწყობის პროექტი განხორციელდა. აშენდა ვიზიტორთა ცენტრი, 2 საექსპოზიციო ნაგებობა, კინოსაპროექციო. ლიმონარიუმის 4 ტერასაზე გაკეთდა ადაპტირებული სასეირნო ბილიკები და 6 ადაპტირებული ლიფტი.
- განხორციელდა **გონიოს ციხის** ინფრასტრუქტურით მოწყობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ციხის დაზიანებულ კოშკს და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ხეივანს.
- მიმდინარეობს **ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის სარეაბილიტაციო** სამუშაოები. სამუშაოების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტაძრის სახურავს, მოეწყო წყალსაწრეტი სისტემა და სანიაღვრე ქსელი.
- დასრულდა **ბათუმის მეჩეთის რეაბილიტაცია.** რესტავრაცია ჩაუტარდა მთავარი დარბაზის ინტერიერს და კეთილმოეწყო ცენტრალური დარბაზის დამატებითი სივრცე.
- **ხიხანის ციხის კოშკი** N3-ის რეაბილიტაცია
- დასრულდა **ბათუმში ავარიულ მდგომარეობაში არსებული 8 ძეგლის** რეაბილიტაცია. (ლ.ასათიანის ქ.28, ი.აბაშიძის N3; ზუბალაშვილის ქ. N39; 26 მაისის ქ.N7; თავდადებულის ქ.N36; აბაშიძის ქ.N35; მაზნიაშვილის ქ.N36; ვაჟა-ფშაველას ქ.N38
- შესყიდულ იქნა ავარიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები (ფარნავაზ მეფის ქ.N36; ლუკა ასათიანის ქ.N11, ზუბალაშვილის ქ.N39; რუსთაველის ქ.N7; 26 მაისის ქ.N7; ,,უშაკოვის აგარაკი'')
- შესყიდულ იქნა ავარიულ მდგომარეობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები (ჩხუტუნეთის მარანი და საწნახელი, ზენითის საწნახელი; მახოს ხიდი; ძენწმანის ჯამე; ზვარეს მეჩეთი.

2022 წელს მიმდინარეობს:

- **ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძეგლების** რეაბილიტაცია, **ჩხუტუნეთის საწნახელი/მარანი;** ზენითის საწნახელი.
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული მახოს ხიდის რეაბილიტაცია.
- ძველ ბათუმში ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძეგლების რეაბილიტაცია, ფარნავაზ მეფის ქ.N36; ლ.ასათიანის ქ.N11
- პეტრას არქეოლოგიურ უბნებზე გადასასვლელი ხიდის მოწყობა
- ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძეგლების სამუშაოების პროექტების შესყიდვა; თამარის ციხე, ჩიქუნეთის მარანი, მ.აბაშიძის N4; თავდადებულის N10; 26 მაისის N63; ფარნავაზ მეფის N36.

2022 წელი - დაგეგმილია:

- **გონიო-აფსაროსის ციხის** ინფრასტრუქტურის მოწყობა. განხორციელდება ციხის გალავნისა და ქონგურების რესტავრაცია და მოხდება დაზიანებული კედლების აღდგენა.
- ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაცია და ხინოს ნაეკლესიარის რეაბილიტაცია
- გონიო-აფსაროსისა და პეტრას ციხის სამუზეუმო სივრცეების განახლების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა
- ხიხანის ციხის რეაბილიტაცია-კონსერვაცია
- ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები

- ძვ. ბათუმში ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძეგლების რეაბილიტაცია. ქ.ბათუმი,26 მაისის N63;
- ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ძეწმანის მეჩეთის რეაბილიტაცია

სპორტი და სპორტული ინფრასტრუქტურა

აჭარაში აქტიურად ვითარდება სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც სპორტული ტურიზმის განვითარების მყარი საფუძველია.

ბათუმის უეფას მე-4 კატეგორიის სტანდარტების საფეხბურთო სტადიონი 2023 წელს, 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის ფინალს უმასპინძლებს.

ბათუმის სპორტული კომპლექსი

დასრულდა ბათუმის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. სპორტული ობიექტი 23 000 კვ. მეტრზე მოეწყო და ის 3400 მაყურებელზეა გათვლილი. კომპლექსში 12-ზე მეტი სპორტული სახეობა ფუნქციონირებს.

ძალოსნობის სავარჯიშო ბაზა

ჩაქვში ძალოსნობის სავარჯიშო ბაზის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა. ეს იქნება ახალი სივრცე სპორტსმენებისთვის, რომელიც შეჯიბრებებისთვის მათ სრულფასოვან მომზადებას უზრუნველყოფს. ბაზაზე სხვადასხვა დონის შეჯიბრებების ჩატარება იქნება შესაძლებელი.

ამ ეტაპზე გარე მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი 2022 წლის შემოდგომაზე დასრულდება.

აჭარაში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, 70 მლნ ლარის ღირებულების სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი მიმდინარეობს.

ხულოში სპორტული დარბაზის მშენებლობა დაიწყო. სოფელ ღორჯომში სპორტული დარბაზის მშენებლობა დაიწყო. პროექტის ფარგლებში დარბაზი განათების, გათბობა-გაგრილების და წყლის სისტემებით იქნება აღჭურვილი. სპორტული დარბაზის მშენებლობა 2022 წლის შემოდგომაზე დასრულდება.

ქობულეთში სპორტული კომპლექსის მშენებლობა იწყება. ქობულეთში თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსი აშენდება. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი მოიცავს არანაკლებ 500 მაყურებელზე გათვლილი მინი მოედნის, სხვადასხვა სპორტის სახეობებისთვის 2 დარბაზის, ასევე 1 ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნისა და 1 ქვიშისსაფარიანი მოედნის მშენებლობას. პროექტის ფარგლებში სპორტულ კომპლექსში სატრენაჟორო დარბაზი, საკონფერენციო მოეწყობა. პროექტი ითვალისწინებს მთლიანი ტერიტორიის ლანდშაფტურ დაგეგმარებას. გარე რეკრეაციული ზონა არანაკლებ 1 ჰექტარ ფართობზე მოეწყობა. ტერიტორიის კეთილმოწყობისას არსებული ლანდშაფტი შენარჩუნდება. დამატებით კი ტერიტორიის გამწვანება განხორციელდება. დასრულდა პროექტირება და გამოცხადდება მშენებლობის ტენდერი.

ბათუმში ყინულის არენა და საცურაო აუზი აშენდება. ბათუმში პირველი თანამედროვე სტანდარტების ყინულის არენა და საცურაო აუზი აშენდება. ყინულის არენისა და საცურაო აუზის კომპლექსის საორიენტაციო სამშენებლო ფართობი 16 000 კვ. მეტრია, საიდანაც ყინულის არენა – 10500 კვ.მეტრზე, ხოლო საცურაო აუზი 5500 კვ.მეტრზე მოეწყობა. ყინულის არენაზე ტრიბუნები 1500 ადგილზე განთავსდება. არენაზე

სასწავლო-სავარჯიშო პროცესისა და სხვადასხვა დონის შეჯიბრებების ჩატარება იქნება შესაძლებელი. კერძოდ, ფიგურული სრიალი – ჰოკეი – ასევე, ციგურებზე მასობრივი სრიალი, კულტურულ-სანახაობრივი და გასართობი ღონისძიებები, კონცერტები და გამოფენები. ახალი საცურაო აუზზე ტრიბუნებით 800 ადგილზე იქნება გათლილი. მიმდინარეობს პროექტირება.

თამარის დასახლებაში განახლებული საჩოგბურთო კორტები დაიწყებს ფუნქციონირებას. თამარის დასახლებაში საჩოგბურთო კორტებს რეაბილიტაცია ჩაუტარდება. დახურული კორტების და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტებით განხორციელდება. ტერიტორიაზე ღია ტიპის 5 კორტი, სასტუმრო და დამხმარე შენობა-ნაგებობები განთავსდება. პროექტი საჩოგბურთო კორტების გარე პერიმეტრის გამწვანებას და კეთილმოწყობას ითვალისწინებს. მიმდინარეობს პროექტირება.

შუახევში საფეხბურთო სტადიონი შენდება. შუახევში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იწყება. დაბა შუახევში FIFA-ს სტანდარტის საფეხბურთო სტადიონი აშენდება. პროექტი მოიცავს 500 მაყურებელზე გათვლილ ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მშენებლობას. მოედანი თანამედროვე სტანდარტების განათების და სადრენაჟე სისტემებით იქნება აღჭურვილი. მიმდინარეობს მშენებლობა.

შუახევსა და ქობულეთში რაგბის მოედნები აშენდება. შუახევში, სოფელ ფურტიოში ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი მოეწყობა. თანამედროვე სტანდარტების ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი დაახლოებით 300 მაყურებელზე იქნება გათვლილი.

ქობულეთი - ჩაქვში ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი მოეწყობა. თანამედროვე სტანდარტების სპორტული მოედანზე ასევე ძალოსნობის დარბაზი განთავსდება. დასრულდა პროექტირება და გამოცხადდება მშენებლობის ტენდერი.

ქობულეთი - სოფელ ხუცუბანში ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი მოეწყობა. თანამედროვე სტანდარტების სპორტული მოედანზე ასევე ძალოსნობის დარბაზი განთავსდება. პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ოფისი, გასახდელები, კომენტატორის და ექიმის ოთახები, კაფეტერია და პრეს-კონფერენციის სივრცე განთავსდება. მიმდინარეობს პროექტირება.

სპორტული პროგრამები - 2021 წელს აღდგა სხვადასხვა რანგის საერთაშორისო ტურნირების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები და აჭარის ნაკრების წევრებმა მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო მასშტაბის ტურნირებში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის აჭარაში არსებულ სპორტულ ფედერაციებს, რომლებმაც პანდემიის პირობებშიც კი შეძლეს ყოველგვარი რეგულაციების დაცვით სამწვრთნელო მუშაობის ორგანიზება.

2021 წელს განხორციელდა და 2022 წელს გაგრძელდება სპორტული ღონისძიებების, სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება, აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა, მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება.

2022 წელს დაფინანსდება სპორტის 42 ფედერაცია, ჩატარდება აჭარის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატები და საერთაშორისო ტურნირები, ასევე აჭარის სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა რანგის გასვლით

ღონისძიებებში. სპორტული ტურიზმის განვითარების მიზნით დაიგეგმება საერთაშორისო ღონისძიებები. ამასთან, პრიორიტეტული იქნება ქვიშის სპორტის სახეობები და სათხილამურო სპორტი.

11 სპორტის სახეობის 22 ასაკობრივი ნაკრების სპორტსმენები, ხელბურთის, ფრენბურთის, წყალბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჰოკეის, თავისუფალ ჭიდაობის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, მშვილდოსნობის, ძიუდოსა და ძალოსნობის ნაკრები გუნდები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სამატჩო შეხვედრებში და სასწავლო შეკრებებში.

ეკონომიკური განვითარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ხედვა ეფუძნება ეკონომიკის ინკლუზიურ განვითარებას, სადაც დაცულია **ეკონომიკური ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპი,** რაც გულისხმობს მოსახლეობის ყველა სეგმენტისთვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებას განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა და მონაწილეობა მიიღოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების პროცესში.

ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აჭარის მთავრობამ არაერთი პროექტი დაიწყო და განახორციელა. აღნიშნულმა ინიციატივებმა უნდა უზრუნველყოს ზოგადად ეკონომიკის სექტორული და მათ შორის ტურიზმის სექტორის დივერსიფიცირება, რამაც თავის მხრივ უნდა მოახდინოს ახალი მიმართულებების განვითარება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, მაღალმთიანი აჭარის განვითარების ხელშეწყობა და აჭარაში ეკონომიკური აქტივობის საკმარის დონეზე შენარჩუნება.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება საინვესტიციო პროექტების მიმართ ერთიანი, გამჭვირვალე პოლიტიკის გატარება და მათი ხელშეწყობა, უფრო მეტი აქტივების ჩართულობის უზრუნველყოფა ეკონომიკაში და საინვესტიციო პროექტების პროაქტიული შეთავაზება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ინვესტორთათვის.

ფინანსები და ეკონომიკური პოლიტიკა

კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში 2020 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში 4,4 მილიარდ ლარი იყო. წინასწარი მონაცემებით 2021 წელს მშპ-ის 10,5%-იანი ზრდა (4,8 მილიარდ ლარი), ეკონომიკის აღდგენას უკავშირდება.

პანდემიამდე 2013-2019 წლებში, ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 11% შეადგინა. პროგნოზით 2022 წელს ეკონომიკის ზრდა შეინარჩუნებს ორნიშნა ნიშნულს. 2022 წლისათვის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხული საშემოსავლო გადასახადის გეგმა შეადგენს 350 მლნ. ლარს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 28%-ით აღემატება.

ბიზნეს სექტორის 2022 წლის კვარტალურ მაჩვენებლებში ზრდის ტენდენცია შეინიშნება: პირველი კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, ბრუნვა გაიზარდა გაზრდილია 91%-ით, პროდუქციის გამოშვება 64%-ით, ხოლო დასაქმება 12%ით.

ასევე, მზარდია კომერციული ბანკების ფულადი გზავნილების ჩარიცხვის მაჩვენებელი, რომელმაც 2021 წელს 653.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ზრდა 2019 წელთან მიმართებაში 31%-ია, ხოლო 2020 წელთან შედარებით - 41%. გზავნილების 53%-ს წარმოადგენს ჩარიცხვები ფიზიკური პირების ანგარიშებზე.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკა

ტურიზმი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია. COVID-19-ის პანდემიის შედეგად ტურიზმი და მომიჯნავე სფეროები ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული ინდუსტრიაა. შესაბამისად, პანდემიამდე არსებული შედეგების აღდგენასა და ტურიზმის სექტორის შემდგომ განვითარებაზე უწყებების ერთობლივმა მუშაობამ და სწორმა სტრატეგიამ განაპირობა ის თვალსაჩინო პოზიტიური დინამიკა, რაც ამ სფეროში შეიმჩნევა.

მნიშვნელოვანია, რომ 2022 წელს პირველად რიგადან ბათუმის მიმართულებით პირდაპირი ფრენები შესრულდა. ესტონეთისა და ლიეტუვას შემდეგ ლატვია კიდევ ერთი ევროპული მიმართულებაა, საიდანაც ბათუმში ფრენები განხორციელდება. აჭარის პოპულარიზაცია 16-ზე მეტ სამიზნე ქვეყანაში ხორციელდება და მათ შორისაა ბალტიისპირეთის ქვეყნები.

2022 წლის ივნისში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 250 ზე მეტი საერთაშორისო რეისი განხორციელდება 10 ქვეყნიდან. მიმდინარეობს ფრენების აქტიური დამატება და აღდგენა. ივნისიდან იწყება პირდაპირი რეისები ბათუმი-დუბაის, საუდის-არაბეთის მიმართულებით, ივნისიდან განახლდება ფრენები ბაქოს მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა რაც მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ისე ვიზიტორებისთვის.

2021 წლის მონაცემებით, აჭარაში **513,358** საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა. 2020 წელთან შედარებით ზრდა +**46.55% .**

2021 წლის იანვარ-დეკემბერში, უცხოელ მგზავრთა რაოდენობა 249 779 მგზავრს შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 11.16-ჯერ არის გაზრდილი.

2021 წლის მონაცემით, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 2,351 საერთაშორისო ფრენა განხორციელდა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 730.74 %-ით (8.3 - ჯერ) გაზრდილია. 2019 წლის მონაცემებთან შედარებით საერთაშორისო ფრენების 98.50% აღდგენილია.

მიმდინარე წელს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ფრენების რაოდენობის მზარდი დინამიკაა. არსებული მონაცემებით, ბათუმის მიმართულებით ფრენები 5-მა ახალმა ავიაკომპანიამ დაიწყო : Airbaltic, Flydeal, Jordan Aviation, Aseman და Uzbekistan Airways. მათ შორის ავიაკომპანიებმა Airbaltic და Uzbekistan Airways ფრენები წელს პირველად რიგადან და ტაშკენტიდან შეასრულა. ივნისის განმავლობაში ბათუმის მიმართულებით 300-მდე ფრენა 13 ქვეყნიდანაა დაგეგმილი. გასულ წელთან შედარებით გაზრდილია როგორც ავიაკომპანიების ისე მიმართულებების რაოდენობაც. მაგალითად, თუკი 2021 წელს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 15 ავიაკომპანია ფრენებს 15 მიმართულებით ასრულებდა, წელს ამ ეტაპისთვის გვაქვს 20 ავიაკომპანია 16 მიმართულებით (თელ-ავივი, სტამბული, რიგა, რიადი, ჯედა, დამანი, ამანი, თეირანი, ტაშკენტი, ბაქო, ალმატი, მინსკი, ვარშავა, ვილნიუსი,ერევანი).

2022 წელს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს შემდეგი ავიაკომპანიები დაემატა:

- Airbaltic - რიგა-ბათუმი (ლატვია)

- Uzbekistan Airways - ტაშკენტი - ბათუმი (უზბეკეთი)
- Flydeal - რიადი - ბათუმი (საუდის არაბეთი)
  ჯედა- ბათუმი (საუდის არაბეთი)
- Jordan Aviation - ამანი - ბათუმი (იორდანია)
- Aseman - თიერანი - ბათუმი (ირანი)

წელს, პირველად ბათუმს დაემატა ლატვიისა და უზბეკეთის მიმართულებები. ფრენების განახლება იგეგმება ესტონეთიდან, ლიეტუვადან, არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან და სომხეთიდან.

2022 წლის 5 თვის მონაცემით განხორციელდა 703 საერთაშორისო ფრენა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 135.91% - ით, ხოლო 2019 წლის მონაცემთან შედარებით გაზრდილია 17.56 %-ით. ფრენების პარალელურად გაზრდილია უცხოელ მგზავრთა რაოდენობაც. 2022 წლის იანვარ-მაისში უცხოელ მგზავრთა რაოდენობა შეადგენდა - 72 689 მგზავრს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 147.60%-ით, ხოლო 2019 წლის მონაცემთან შედარებით გაზრდილია 16.81% -ით.

რაც შეეხება გასულ წელს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში საერთაშორისო ფრენების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით აღდგა 98%-ით, უცხოელ მგზავრთა რაოდენობა კი 87% -ით.

აჭარაში ტურიზმის აღდგენის მზარდი და დადებითი დინამიკა ფიქსირდება. ამ ეტაპზე არსებული გათვლებით, ვფიქრობთ რომ 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით ტურიზმის აღდგენას 80%-მდე შევძლებთ, რაზეც ბუნებრივია გავლენას ახდენს ჩვენს მეზობლად არსებული საომარი მდგომარეობა. თუმცა მიუხედავად

არსებული სიტუაციისა, პროგნოზი არის დადებითი. რაც შეეხება, საერთაშორისო ტურიზმის აღდგენის პროგნოზს, როგორც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია აცხადებს მიმდინარე წელს ტურიზმის აღდგენა 70-80%-ით მოხდება.

აჭარა წარმატებით პოზიციონირებს და ბოლო წლების განმავლობაში არაერთი საერთაშორისო აღიარება და ნომინაცია მოიპოვა.

ევროპაში პოპულარული სამოგზაურო პლატფორმამ European Best Destinations ბათუმი ევროპის საუკეთესო ფარულ მარგალიტად დაასახელა და ევროპულ მიმართულებებს შორის პირველი ადგილი მიანიჭა. აჭარის სამმა ეროვნულმა პარკმა იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიიღო. ბათუმს კი UNESCO-ს მუსიკის ქალაქის წოდება მიენიჭა. ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც 2023 წელს ბათუმი World Travel Awards-ის დაჯილდოების ცერემონიას ე.წ. ტურიზმის ოსკარს უმასპინძლებს.

ტურისტული პროდუქტების განვითარება და ტურისტულ მარშრუტებზე მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობა. ტურისტული პროდუქტების განვითარების კუთხით აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს.

ჯვარიმინდორზე ტურისტული თავშესაფრები და საპიკნიკე ინფრასტრუქტურა მოეწყო. ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მდებარე 4 ტურისტული თავშესაფარი თავისი საშხაპეებით, ავეჯითა და იქვე განთავსებული საპიკნიკე ზონით მოგზაურების მისაღებად მზადაა.

მთიან აჭარაში პროფესიონალი ველოსიპედისტებისთვის ექსტრემალური **ველობილიკი მოეწყო.** სათავგადასავლო და სპორტული ტურიზმის განვითარების მიზნით, მსგავსი ტიპის ექსტრემალური საველოსიპედე ინფრასტრუქტურა რეგიონში

პირველად შეიქმნა. 6 კილომეტრიანი ველობილიკი ქედასა და შუახევს ერთმანეთთან აკავშირებს.

ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურა დაპროექტდა. ტერიტორიაზე გარემოსთან ადაპტირებული საფეხმავლო ბილიკების, გადმოსახედი კოშკურის, მოსასვენებელი კოტეჯების, ავტოპარკინგისა და ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა მიმდინარე წელს იგეგმება.

უჩხოს ხეობაში კანიონინგი ვითარდება. მიმდინარე წელს გაიჭრა და კეთილმოეწყო კანიონინგთან მისასვლელი ბილიკები, გადამზადდნენ კანიონერები და აღიჭურვნენ სპეციალური ფორმებით.

აჭარაში მთების, ტყეების, ხეობებისა და სოფლების ტურისტული პოტენციალის კვლევა განხორციელდა. სკურდა, ღომა, ნაკონაღვარი და კიკიბო იმ მთებს შორისაა, სადაც კვლევებზე დაყრდნობით ახალი, გარდამავალი ტურისტული მარშრუტები გამოიკვეთა, რომელთა მარკირება-განვითარებას სამომავლოდ იგეგმება.

სოფელ ღორჯომში საცხენოსნო ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა. ამ ეტაპზე მზადდება პროექტი, რომლის მიხედვითაც წელსვე განხორციელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ დანდალოსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მირვეთში - **ჩანჩქერებთან მისასვლელი ბილიკები კეთილმოეწყობა და მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა.**

ტურისტული სერვისის განვითარება - სერვისის გაუმჯობესების მიზნით **აჭარაში ტურისტული სექტორის 758 წარმომადგენელი გადამზადდა**. ტრენინგები, მასტერკლასები და ლექციები მთიან აჭარასა და ბათუმში ბარმენებისთვის, გიდებისთვის, ტურისტული სააგენტოებისა და საოჯახო-სასტუმრო სახლების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა.

- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განთავსების და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის 26 სოფელში ჩატარდა მოკლევადიანი ტრენინგები. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 516 ადამიანი.
- სოფლად ტურისტული პროდუქტების იდენტიფიცირებისათვის და მათი შემდგომი ტურისტულ სერვისად ქცევის მიზნით, აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ტურისტულად აქტიურ 10 სოფელში, ტურისტული სააგენტოების მეშვეობით ჩატარდა კვლევა და შემდგომ ტრენინგები. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 100 ადამიანი.
- საკომუნიკაციო უნარების გაუმჯობესების მიზნით აჭარის ტურისტულად აქტიურ 4 სოფელში გრძელდება ინგლისური ენის ტრენინგები. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 64 ადამიანი.

ცნობადობის გაზრდისა და რეგიონში ტურისტების მოზიდვის მიზნით აჭარის რეკლამირება 16 სამიზნე ქვეყანაში განხორციელდა:

- 1 თვიანი სატელევიზიო კამპანია **Euronews**-ზე პრაიმთაიმში გადაიცემოდა. აჭარის საიმიჯო ვიდეორგოლს ევრონიუსის მილიონობით მაყურებელი 160 ქვეყანაში ეცნობოდა.
- აჭარის შესახებ მომზადებული რეპორტაჟი **Euronews** -ის გადაცემაში "ფოკუსი" 9 ენაზე გადაიცემოდა

- აჭარული სამზარეულოს შესახებ სტატია **National Geographic Traveller Food**-მა გამოაქვეყნა. ბრიტანულმა გამოცემამ მილიონობით გამომწერს აჭარული სამზარეულოს დაგემოვნებისკენ მოუწოდა.
- **National Geographic Traveller** -ზე სტატია გამოქვეყნდა. სტატიაში, რომელსაც მილიონობით მკითხველი გაეცნო აჭარის ეკოტურისტულ შესაძლებლობებსა და იუნესკოს მიერ აღიარებულ ეროვნულ პარკებზე იყო საუბარი.
- აჭარის, როგორც ოთხი სეზონის ტურისტულ მიმართულებაზე, სტატიები გამოქვეყნდა National Geographic Traveler-სა და Travel Poland-ის ჟურნალებში.
- ბათუმი, როგორც ევროპის ფარული მარგალიტი, წამყვანი მედიაგამოცემები ყურადღების ქვეშ მოექცა: Euro news, Forbes USA, Conde Nast Traveller, Sapo Brasil, Viaggi Corriere, Yahoo France, Ouest France.
- აჭარის პოპულარიზაციის მიზნით რეგიონის ტურისტული პროდუქტები 12 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე იყო წარდგენილი. საერთაშორისო და შიდა მედიაში აჭარის შესახებ სტატიების, რეპორტაჟებისა და გადაცემების მომზადების მიზნით, ასევე რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით აჭარას მედიისა და ტურისტული კომპანიების 259 წარმომადგენელი სტუმრობდა (86 ჟურნალისტი და 173 ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი).
- შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით განხორციელდა საშემოდგომო კამპანია „გაიცანი აჭარა ანბანით“. კამპანიის ფარგლებში მომზადდა 33 საიმიჯო რგოლი, რომელშიც ანბანის მიხედვით აჭარის 33 ძირითადი ტურისტული ადგილი, პროდუქტი, ღირსშესანიშნაობა და აქტივობაა

ბიუჯეტი

აჭარის მთავრობა მასში შემავალი უწყებების კოორდინაციის შედეგად, მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით, პროგრამული ბიუჯეტის დოკუმენტს ამზადებს,

რომლის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. აჭარის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 454 მლნ ლარს შეადგენს.

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის საშემოსავლო ნაწილი (შემოსულობები) 85 163 100 ლარია, ბიუჯეტი 122,4%-ით შესრულდა.

2021 წლის საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებელი, 2020 წელთან შედარებით, 36,2 მლნ ლარით,15 %-ით გაიზარდა და 273,4 მლნ ლარი შეადგინა.

აჭარაში მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები

ბათუმი ავარიული სახლების გარეშე - საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამთავრობო მიზნობრივი პროგრამა ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“, რომლის თანახმადაც, ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების პარალელურად პროცესში ჩაერთვებიან ინვესტორები, სამშენებლო-დეველოპერული კომპანიები, საფინანსო ორგანიზაციები.პროექტის დასრულება უზრუნველყოფილი იქნება აჭარის მთავრობის მიერ 150 000 მლნ ლარის მოცულობის ფინანსური გარანტიით, უძრავი ნივთის შესყიდვის ინსტრუმენტის გამოყენებით.

სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება ბათუმში ათწლეულების განმავლობაში არსებული ავარიული სტატუსის მქონე სახლების მასშტაბურობით არის განპირობებული. ბათუმში 3000-ზე მეტი ოჯახი საჭიროებს უსაფრთხო საცხოვრისს. პროგრამის თანახმად, არსებული ავარიული შენობები თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსებით ჩანაცვლდება. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, უსაფრთხო საცხოვრისი

გარემოს შექმნას, ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის პარალელურად ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ 4 წლიანი პროგრამის I ეტაპის განსახორციელებლად ბათუმის მერიის 2022 წლის ბიუჯეტში 20 მლნ ლარია გათვალისწინებული. ასევე, აჭარის მთავრობა და ბათუმის მერია ავარიულ კორპუსში მცხოვრებ მოქალაქეებს თავაზობს საბინაო ფონდში არსებულ ბინებს.

მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტი

დასკვნით ეტაპზეა მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება - პროექტი მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებას და ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას უზრუნველყოფს. გაზსადენი მოიცავს ბათუმი-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთს (120.0 კმ), საიდანაც უკვე დასრულებულია ბათუმი-ხულოსა და გოდერძის უღელტეხილი-კურორტ „გოდერძი“-ს მონაკვეთები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დასკვნითი ეტაპის სამუშაოები (ხულო-გოდერძის მონაკვეთზე გაზის მილების მოწყობა, დაახლოებით 25 კმ).

პროექტის **პირველ ეტაპზე სალიბაურიდან-ხიჭაურამდე 63 კმ მონაკვეთზე** გაზსადენის მილების მონტაჟი განხორციელდა, რაც **11 900 აბონენტის** გაზიფიცირებას მოიცავს.

მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტის **მეორე ეტაპი** ფარგლებში, 2020 წელს პირველად, კურორტზე ბუნებრივი გაზი აინთო. პროექტის მეორე ეტაპზე 2020 წელს შუახევიდან-გოდერძიმდე **56 კმ გაზსადენის** მილების მოწყობა დასრულდა, რითაც ჯამში **15 200 აბონენტის** გაზიფიცირება მოხდება.

პარალელურად, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, გაზიფიცირებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს აჭარის მუნიციპალიტეტებში, ერთდროულად რამდენიმე დასახლებულ პუნქტში ახორციელებს. დასრულებულია გაზმომარაგების შიდა ქსელების მოწყობა 14-ზე მეტ სოფელში, რაც 2300-მდე აბონენტის გაზიფიცირებას ითვალისწინებს. 2022 წელს კი, დამატებით 13 სოფელში სამუშაოების განხორციელებაა დაგეგმილი, რაც 1500-მდე აბონენტის გაზმომარაგებას უზრუნველყოფს.

მაღალმთიანი აჭარის განვითარება

„გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტი მომზადდა, რაც კურორტზე საინვესტიციო პროცესების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. დაგეგმილია ახალი სათხილამურო ტრასის მოწყობა.

განხორციელდა **„მწვანე ტბის“** რეაბილიტაცია. ტერიტორიაზე საპიკნიკე და დასასვენებელი ადგილები, ასევე ბილიკები მოეწყო. სრულდება ღონისძიების ჩასატარებელი სივრცის, საფეხბურთო სტადიონის და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა მშენებლობა. პროექტი ასევე ენერგო სისტემის მოწყობას ითვალისწინებს. „მწვანე ტბის“ რეაბილიტაცია **2 მლნ ლარამდე დაფინანსდა.**

მიმდინარეობს კურორტ ბეშუმის განვითარება, რაც ტერიტორიის ურბანული პოლიტიკის შექმნას და სამომავლოდ ბეშუმის სწორად განვითარებას ითვალისწინებს. კურორტ ბეშუმისა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი მომზადდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქალაქმშენებლობით დოკუმენტზე მუშაობა.

დასრულდა აჭარაში (სოფელ დანდალოში, სოფელ ნენიაში, სოფელ სახალვაშოში) **საპიკნიკე ადგილების** მოწყობის პროექტი. ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ გზაზე ტურისტებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოეწყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტი 2021 წელს 3,6 მლნ ლარს შეადგენდა. პროგრამით აჭარის 5 მუნიციპალიტეტის 317 სოფელში სხვადასხვა სახის სამუშაო განხორციელდა. კერძოდ, მოეწყო გარე განათება, მოწესრიგდა სასმელი წყლის სისტემა, მოსაცდელები და სანიაღვრე არხები, შიდა სასოფლო გზებზე დაიგო ბეტონის საფარი და ა.შ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების ოდენობამ 104,8 მლნ. ლარი შეადგინა. აღნიშნული ფინანსური დახმარების ფარგლებში დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

ბათუმში: ქ. ბათუმში, ე.წ. „ბარცხანის“ ხიდის რეაბილიტაცია, ქ. ბათუმში, ანგისის ქუჩის კეთილმოწყობა, ქ. ბათუმში, სულაბერიძის ქუჩის მონაკვეთის (ბაგრატიონის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე) მიმართულებით (I ეტაპი) სამუშაოები, შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტის“-თვის მუნიციპალური ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება და სხვა;

ქობულეთში: ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობა (II ეტაპი), ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში საბავშვო ბაღის მოწყობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სტიქიის აღმოფხვრის ღონისძიებები და სხვა;

ხელვაჩაურში: სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, ახალშენის საბავშვო ბაღის მშენებლობა და სხვა;

ქედაში: დაბა ქედაში, მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები, სოფელ აქუცის ქვედა უბანში მისასვლელ გზაზე მდინარე აჭარისწყალზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა, ქედის №1 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია და სხვა;

შუახევში: მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (ბეტონის საფარის, ახალი გზის მშენებლობა და დამცავი ბაგირების მოწყობა), მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები და სხვა;

ხულოში: დაბა ხულოში დავით მამულაძის ქუჩაზე საყრდენი კედლისა და სავალი ბილიკის მოწყობა (მეორე ეტაპი), ხულო-თაგოს საბაგირო სადგურის რეაბილიტაცია, სოფელ წაბლანაში წყალსადენის სისტემის შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობა და სხვა.

განახლებული რეგიონები

აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით „განახლებული რეგიონების" პროგრამის ფარგლებში, აჭარაში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად მიმდინარეობს. პროგრამა ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.
აჭარაში პროგრამით დაფინანსებული რამდენიმე პროექტი ხორციელდება:

- ბათუმში, გმირთა ხეივანში მწვანე დერეფანი ეწყობა

- ქობულეთში მიმდინარეობს ბულვარის მშენებლობა
- ხელვაჩაურში მოედნები, ბავშვთა გასართობი ცენტრები და სკვერები კეთდება
- ხულოში მემედ აბაშიძის ქუჩის რეაბილიტაცია
- ქედაში დაბის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქცია
- შუახევში კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

აშენდა მყარი ნარჩენების მართვის ობიექტი-პროექტი აჭარაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვას, აჭარაში ეკოლოგიური, სოციალური, ტურისტული გარემოს გაუმჯობესებას და ალტერნატიული ენერგიის მიღებას უზრუნველყოფს. ***პროექტის ბიუჯეტი 7 მლნ ევრო.***
პროექტი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში, თანამედროვე სტანდარტების ნარჩენების მართვის ობიექტის მშენებლობასა და ბათუმსა და ქობულეთში არსებული ძველი, არასტანდარტული ნაგავსაყრელების დახურვას ითვალისწინებს. EBRD-თან მიღწეული შეთანხმებით, **ნარჩენების მართვის ობიექტის ტექნიკით აღჭურვა, დამატებით 28 მლნ ევროთი დაფინანსდება.**

ამ ეტაპზე, დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, აჭარის მყარი ნარჩენების მართვის დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობს, რის საფუძველზეც მთელი რეგიონის ნარჩენების მართვის ოპტიმალური მოდელი შეიქმნება.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

აჭარაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურით სარგებლობას აჭარის 39 სოფელში მცხოვრები, 5829 ოჯახი, ჯამში დაახლოებით 30 000 ადამიანი შეძლებს. პროექტის ბიუჯეტი 59,5 მილიონი ევროა.

ამ ეტაპზე, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციისთვის, საერთაშორისო ტენდერი მიმდინარეობს. ტენდერის ფარგლებში, მუნიციპალიტეტების დაბებსა და სოფლებში ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

უკვე ჩატარდა საერთაშორისო ტენდერი ექსპლუატაციის მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების, სარემონტო და სხვა მასალების შესყიდვისთვის. აღნიშნული ტექნიკა ახალ მუნიციპალურ საწარმოებს გადაეცემა, რომლებიც აჭარის თითოეულ მუნიციპალიტეტში შეიქმნება.

პროექტის ფარგლებში კურორტ „გოდერძზე“ უკვე დაიწყო წყალმომარაგებისა და წყალარინების სამუშაოები.

პროგრამის მიზანია, აჭარაში წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე სისტემის დანერგვა, საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, გარემოს დაცვა და წყლის რესურსების შენარჩუნება.

ოცნების ქალაქი - 2022 წელი მნიშვნელოვანი და გარდამტეხი იქნება აჭარისთვის, რადგანაც წელს არაერთ მნიშვნელოვან პროექტთან ერთად სრულდება ყველაზე დიდი სოციალური პრიექტის, ე.წ. ოცნების ქალაქის პირველი ეტაპის მშენებლობა, სადაც 582 ოჯახს გადაეცემა ბინა და ეს პროცესი გაგრძელდება სანამ ყველა ოჯახი არ იქნება უზრუნველყოფილი უსაფრთხო საცხოვრისით. ოცნების ქალაქთან კომისიამ კრიტერიუმები შეიმუშავა. მოსახლეობისთვის ბინების გადაცემისთვის საჭირო კრიტერიუმებზე, სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ იმუშავა, რომელშიც საერთაშორისო ორგანიზაცია „Unicef“-ის და „წითელი ჯვარის“, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის და აჭარის მთავრობის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ე.წ "ოცნების ქალაქში“ დასკვნით ეტაპზეა სამი 12 სართულიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა ხორციელდება. ე.წ "ოცნების ქალაქის" მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პირველი ეტაპი 582 ბინას მოიცავს. გამოცხადდა კონკურსი „ოცნების ქალაქის“ სრული ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმისა და ამავე გეგმის მიხედვით საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით. დაგეგმილია ტერიტორიის სწორი ურბანული განვითარება, რაც საჯარო სივრცეებს, სპორტულ და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურას განავითარებს.

„ოცნების“ დასახლებაში ასევე წყალმომარაგების ახალი ქსელის მოწყობის პროექტზე მუშაობა დაწყებულია. აღნიშნულ ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემა, როგორც ცნობილია, ამ დრომდე არ არსებობდა. პროექტის განხორციელების შედეგად, იქ მცხოვრები ოჯახები, 24 საათიანი წყალმომარაგების ქსელით ისარგებლებენ.

საინვესტიციო პოლიტიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, აჭარის მთავრობის განკარგულების ფარგლებში, **ინვესტიციების ხელშეწყობის ახალი წესი** ამოქმედდა.

მომზადდა განკარგულების ახალი პროექტი, რომელიც „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად, დამატებითი ვადის მიცემის წესს ითვალისწინებს. მითითებულ ვადაში, ინვესტორის მიერ სარგებლობის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ გადახდის შემთხვევაში, ინვესტორი გათავისუფლდება სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გადახდილი თანხის

ოდენობით. განკარგულებით ბიზნესთან ყველასთვის ერთიანი პრაქტიკა დამკვიდრდა. გადაწყვეტილებების მიღება კერძო და საჯარო ინტერესების დაცვით ხდება. ამ ეტაპზე მოქმედი გარანტიის თანხა 14 969 699 ლარია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონში ცვლილება** განხორციელდა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიცირებული კანონპროექტის მიღების მიზანია, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ნორმების სრულფასოვნად გამოყენება და აღსრულება. კანონპროექტის მიხედვით, ქონების მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არანაკლებ 50%-ის შესრულების დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ქონების მყიდველის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ოდენობის შესაბამისი ოდენობით შემცირების თაობაზე.

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სრული აღწერა-ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყო. პროგრამა ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების ამოქმედებასა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, ასევე პოტენციური ინვესტორებისთვის მონაცემების ვებ-სივრცეში განთავსებასა და მათთვის ასევე პირდაპირ შეთავაზებებს ითვალისწინებს.

აჭარაში საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და ტურიზმის განვითარებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ლოკაციის განვითარება დაიწყო. მომზადდა 440 ჰექტარზე **დაბა ჩაქვისა და კურორტ ციხისძირის სანაპირო ზოლის**

განაშენიანების რეგულირების გეგმა. აღნიშნული ადგილი განტვირთვისა და პასიური დასვენებისათვის იქნება გათვალისწინებული. ამ ეტაპზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიწის ნაკვეთების დაყოფა და მათი საინვესტიციოდ მომზადება მიმდინარეობს.

საგრანტო პროგრამა „ახალი შესაძლებლობები ბიზნესს“ - ბიზნესის ხელშეწყობის ახალი საგრანტო პროგრამა იგეგმება. პროგრამა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისთვის (მცირე და საშუალო საწარმოებისთვის), მყარი ნარჩენების მართვის სექტორში საქმიანობის ხელშეწყობას ითვალისწინებს. საწარმოებს საჭირო ძირითადი მანქანა-დანადგარები საკუთრებაში გადაეცემა. თითოეული ბენეფიციარის თანადაფინანსება არაუმეტეს 250 000 ლარია.

დაიწყო აჭარაში სპორტული ტურიზმის როგორც ახალი საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობა. მომზადდა აჭარის **სპორტული ტურიზმის კვლევა და გომარდულის განვითარების გეგმა,** რომლის საფუძველზე შემუშავებულ იქნა საინვესტიციო შეთავაზება, რომელიც როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ინვესტორებს წარედგინება. პროექტი 40 ჰექტარ ტერიტორიაზე სპორტული, რეკრეაციული და სასტუმრო ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს. პროექტის მიზანია გომარდული გახდეს 4 სეზონზე გათვლილი კურორტი. გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტებთან, რათა სპორტული ტურიზმის მიმართ რეგიონში არსებობდეს ერთიანი მიდგომა ადგილობრივი გადასახადის კუთხით და სპორტული ობიექტები გათავისუფლდნენ ქონების გადასახადის დაბეგვრისაგან.

ინტენსიურად მიმდინარეობს სათხილამურო **კურორტ „გოდერძის“ განვითარება.** ამ დროისათვის კურორტზე 27 მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს, რომლის საინვესტიციო ღირებულება 200 მლნ ლარს აღემატება.

ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კვლევა - ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტი დაიწყო. პროექტი ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა და აჭარის მთავრობას შორის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. ჩეხი სპეციალისტების ჯგუფმა ტერიტორიაზე, სპეციალური ტექნიკით, კვლევისთვის საჭირო ბურღვუთი პროცედურები განახორციელეს. ექსპერტები ტერიტორიის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციას მოამზადებენ. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის კვლევის ფარგლებში, ტერიტორიის როგორც ტექნიკური, ასევე სამომავლო გამოყენების შესაძლებლობები იქნება შესწავლილი. 2021 წლის 20 აპრილს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ და ჩეხეთის განვითარების სააგენტომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომლითაც მიღწეულ იქნა შეთანხმება, ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელების თაობაზე. პროექტის მიზანია, გარემოს დაცვა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

აჭარაში „ეთნოსოფლის“ პროექტი ხორციელდება - აჭარაში „ეთნოსოფლის“ მასშტაბური პროექტი ხორციელდება. პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე უკვე დასრულდა თანამედროვე სტანდარტების ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა. „ეთნოსოფლის“ პროექტი რამდენიმე წელზეა გათვლილი და მოიცავს მაჭახლის ხეობაში სხვადასხვა ლოკაციაზე საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას, ისტორიული და ეთნოგრაფიული ძეგლების რეაბილიტაციას და სხვა ტურისტულ-ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტები მომზადდა, რაც **ზედა ჩხუტუნეთის ცენტრის რეკონსტრუქციას ითვალისწინებს.** პროექტით ასევე დაგეგმილია მაჭახლის ხეობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ამ ნიშნის მატარებელი ობიექტების რეაბილიტაცია, მათ შორის ხიდის

რეაბილიტაცია, ასევე მაჭახლის ხეობაში ალივაკეს და გვარას ციხის რეაბილიტაცია. პროექტი ე.წ „მაჭახელას თოფის გზის“ ფარგლებში, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას მოიცავს. „ეთნოსოფლის“ პროექტის მიზანია, მაჭახლის ხეობის ტურისტული მიმზიდველობისა და ტურისტული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა.

ჭვანას ხეობაში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის გამოყოფილია 10 მლნ ლარი. ასევე, დაახლოებით 10 მლნ ლარი დაიხარჯება ჩირუხის მთაზე ევროპაში ყველაზე გრძელი, ორზოლიანი ზიპლაინის მოწყობისთვის. 1750 მეტრი სიგრძის ზიპლაინი ჩირუხის მთაზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე გაკეთდება, რაც შუახევში ახალ ტურისტული მიზიდულობის ცენტრს შექმნის

ხიხანის ციხის მიმდებარედ სარეკრეაციო ზოლის მოწყობის განაშენიანების დეტალური გეგმა მომზადდა, რაც საპიკნიკე ადგილების, კოტეჯების, ვიზიტორებისთვის საჭირო სივრცეების შექმნას მოიცავს. ასევე, აჭარაში, ხიხანის ციხეზე ასასვლელი ბილიკის მოეწყობა.

დაიწყო სამრეწველო ზონის განვითარება - ახალი პროექტი ხელვაჩაურში არანაკლებ 90 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთებზე, საწარმოების მოწყობას ითვალისწინებს. ეკონომიკური გათვლების მიხედვით, მოსალოდნელია 75 მლნ ლარის კერძო ინვესტიცია, რითაც დაახლოებით 1500 სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამ ეტაპისთვის 25 საინვესტიციო პროექტი მიმდინარეობს. პარალელურად ბათუმის მუნიციპალიტეტი 14 მლნ ლარის ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს, რაც კომუნალური და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს. ტერიტორიის გაზიფიცირება მიმდინარეობს.

ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიებზე სამრეწველო ზონის შექმნა ხორციელდება. პროექტი კვების მრეწველობისთვის იქნება გათვლილი. კერძოდ, სასაწყობე, გადამამუშავებელი და მწარმოებელი კომპანიებისთვის. „კვების მრეწველობის ინდუსტრიული ზონა“ დაახლოებით 35 ჰა ფართობს მოიცავს. მოსალოდნელია 30 მლნ კერძო ინვესტიციის მოზიდვა და 1000 სამუშაო ადგილის შექმნა.

საერთაშორისო ურთიერთობები

გრძელდება საერთაშორისო ჭრილში თანამშრომლობის ფორმატების გაფართოება, რაც დამეგობრებისა და თანამშრომლობის მემორანდუმებით, მაღალი დონის ვიზიტებითა და შეხვედრებით, საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებებში აქტიური ჩართულობით, სხვადასხვა დარგობრივი პროექტის განხორციელებით გამოიხატება.

ამ მხრივ აღსანიშნავია, აჭარის გაწევრიანება კიდევ ერთ მსხვილ საერთაშორისო ორგანიზაციაში, საზღვაო რეგიონების კავშირში (CPMR). ორგანიზაციის ეგიდით, 2022 წლის თებერვალში ბათუმში გავმართეთ საერთაშორისო კონფერენცია კულტურული ტურიზმის სფეროში დაკავებული ახალგაზრდებისათვის, რომელსაც წევრი რეგიონების წარმომადგენლები და მაღალი რანგის სტუმრები ესწრებოდნენ.

კიდევ უფრო გაღრმავდა კავშირები ჩვენს მეგობარ სახელმწიფოსთან და 2021 წელს 2 დამეგობრების მემორანდუმი გაფორმდა პოლონურ ქალაქებთან, ბათუმი-ჟიელონა გორა და ქობულეთი-შვიდნიცა.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს მოეწერა ხელი. კერძოდ, ქ. ლონდონში აჭარის მთავრობასა და World Travel Awards შორის გაფორმდა შეთანხმება 2023 წელს ბათუმში დაჯილდოების გალა ცერემონიის გამართვასთან დაკავშირებით. ბათუმი სამჯერ ზედიზედ გახდა World Travel Awards-ის გამარჯვებული (2019/20/21 წწ.) ნომინაციაში - ევროპის მზარდი ტურისტული მიმართულება.

საყურადღებოა, საზღვაო სფეროში განათლებისა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვის კუთხით გადადგმული ნაბიჯები, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. კერძოდ, ქართველ მეზღვაურებს მსოფლიოს 60 საზღვაო დროშის ქვეშ მცურავ ფლოტზე შეუძლია დასაქმება, მათ შორის 18 ევროკავშირის წევრი ქვეყანაა. შედეგად, 2015 წელთან შედარებით 40%-ით არის გაზრდილი საქართველოს მეზღვაურების დასაქმება ევროკავშირის წევრი ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე.

გრძელდება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების აქტიურობა აჭარაში. ხელი მოეწერა მსხვილ სასესხო და საგრანტო ხელშეკრულებებს ისეთ დონორ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა USAID, BMZ, UNDP, ADC, CzDA, TIKA და სხვა.

ღირებული ჰუმანიტარული დახმარება გაუწია აჭარამ უკრაინის დამეგობრებულ რეგიონებსა და ქალაქებს. აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან უკრაინის დამეგობრებული ოლქების და ქალაქების დასახმარებლად 200 000 ლარის ფინანსური დახმარება გამოიყო.

აღნიშნული თანხით მოხდა სამედიცინო დახმარების საგნების, მედიკამენტების შესყიდვა და უკრაინული მხარისთვის გადაცემა. აჭარის მთავრობას აქვს აქტიური კომუნიკაცია დამეგობრებულ უკრაინულ რეგიონებთან და ჰუმანიტარული ტვირთის შეძენაც მათი საჭიროებების მიხედვით დაიგეგმა. ჰუმანიტარული დახმარების პროცესში ჩართულები იყვნენ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები..

გარდა აღნიშნულისა, აჭარაში რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ ჩამოსული უკრაინის მოქალაქეების განთავსება და სხვადასხვა სერვისით უზრუნველყოფა ხორციელდება.

2022 წლის 18 მაისს ბათუმის მე-20 საჯარო სკოლაში უკრაინულენოვანი სექტორი დაფუძნდა. უკრაინელ მოსწავლეებს თბილისსა და ბათუმში მშობლიურ ენაზე ექნებათ

ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა.

სამოგზაურო პლატფორმა European Best Destinations ბათუმს ევროპის საუკეთესო ფარულ მარგალიტად ასახელებს. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში „საუკეთესო ფარული მარგალიტები“ ბათუმი ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, პორტუგალიისა და სხვა ევროპული ქვეყნების ტურისტულ ადგილებს შორის პირველ ადგილს იკავებს.

2020 წელს, European Best Destinations-მა ბათუმი თბილისთან ერთად ევროპის უსაფრთხო ტურისტულ მიმართულებად დაასახელა.

ბათუმში ფუნქციონირებს 12 უცხო ქვეყნის წარმომადგენლობა, გენერალური და საპატიო საკონსულოების სახით. ბოლო 2 წლის განმავლობაში გაიხსნა სამი ქვეყნის საპატიო საკონსულო.

ბათუმის ბულვარი

პირველად თავისი ისტორიის მანძილზე, სსიპ ბათუმის ბულვარს განაშენიანების გეგმა გააჩნია. დოკუმენტის მესამე დამამთავრებელი ეტაპი დასრულდა. დოკუმენტი მოიცავს კვლევით ნაწილს, განაშენიანების გეგმას და დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტს.

პროექტის მთავარი მიზანი იყო ბულვარის სამომავლო განვითარების ხედვის შემუშავება და განაშენიანების გეგმის დოკუმენტის მომზადება მისი ლანდშაფტური, არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების შენარჩუნებით და ხაზგასმით.

განაშენიანების გეგმა მოიცავს მწვანე ნარგავების, დენდროლოგიისა და ლანდშაფტის დიზაინის რეკომენდაციებს, ადაპტირებული, ინკლუზიური და უნივერსალური დიზაინის კუთხით არსებულ საჭიროებებს, არსებული ინფრასტრუქტურის

დიზაინერულ და ტექნიკურ გადაწყვეტებს, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მართვის სახელმძღვანელოს და ბულვარისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

საავტომობილო გზების, ხიდებისა და ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

2021 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 24 მიმართულებით 38,86 კმ სიგრძის საავტომობილო გზას;

- აშენდა და რეაბილიტირდა 17 ხიდი;
- მოეწყო 261 ხელოვნური ნაგებობა;
- 100 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარი მოეწყო.

2022 წელს დაგეგმილია 61 154 418 ლარის სამუშაოები:

- 39 მიმართულებით 88,9 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა;
- 19 ხიდის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- 330 ხელოვნური ნაგებობის მოწყობა;
- 90 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა.

აჭარაში ხორციელდება ისეთი მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები როგორიცაა ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა და ხულო-ზარზმის გზის რეაბილიტაცია.

აჭარაში საგზაო ლაბორატორია მოეწყობა, ლაბორატორია გზის საფარის ხარისხის კვლევას მოემსახურურება, რაც გააუმჯობესებს საგზაო ინფრასტრუქტურის ხარისხს. ლაბორატორია მოემსახურება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პროექტებს. ბიუჯეტი - 700 ათასი ლარი.

სოფლის მეურნეობა

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად. **2018-2022** წლებში აჭარაში სოფლის მეურნეობის სფეროში პირველად განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო მიწების უფასო დამუშავება, გარდა ამისა:

- დაფინანსდა 314 პროექტი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში.
- თანამედროვე დანადგარებით გადაიარაღდა 40-მდე საფუტკრე მეურნეობა.
- დაფინანსდა 30-ზე მეტი საოჯახო ღვინის მწარმოებელი მეურნეობა.
- 160 ჰა ფართობზე გაშენდა მრავალწლოვანი ხეხილოვანი კულტურები. ისარგებლა 2100 ფერმერმა.
- სოფლად მეწარმეობის განვითარების 24 წარმატებული პროექტი დაფინანსდა
- აგრომეწარმეებზე გაიცა 1650 მოტობლოკი და 6000 ცალი შემასხურებელი აპარატი
- აგრარული ექსტენცია ჩაუტარდა 13 000 ფერმერს.
- აჭარაში დაიწყო სახნავ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავება

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა სამელიორაციო სისტემას, რომელიც მოემსახურება 2500 -მდე ოჯახს.
- აჭარაში 22 ჰექტარზე გაშენდა და 190 ჰექტარზე აღდგა ტყის მასივი.

საანგარიშო პერიოდში ,,სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ფარგლებში შესყიდული იქნა 1000 ცალი მოტობლოკი რომელიც გადაეცა ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს.- ბიუჯეტი 1.500 000 ლარი.

2021 წლის ქვეპროგრამის „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა 314 პროექტი. გაშენდა - მოცვის, ჟოლოს, კაკლის ტყემლის, ქლიავის, ციტრუსის, ვაზის და დაფნის ბაღები 25 ჰა ფართობზე. ასევე, მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღები აღიჭურვა წვეთობრივი მორწყვისა და წყლის დაგროვების სისტემები. ბიუჯეტი 1.095. 421 ლარი. ,,სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის“ ფარგლებში რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რეგიონში არსებულ 18 არხს, რომლის მთლიანმა სიგრძემ შეადგინა - 59.კმ, რომელიც მოემსახურება 1820 ბენეფიციარს. - ბიუჯეტი 865.385 ლარი.

,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვის“ ფარგლებში სტაჟირება გაიარა ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული სპეციალობის 10-მა სტუდენტმა. ბიუჯეტი - 112 750 ლარი.

ქვეპროგრამა ,,აგრარული ექსტენციის მიწოდების ფარგლებში“ ექსტენცია სხვადასხვა აგრომიმართულებით ჩაუტარდა საველე პირობებში ჩაუტარდა 3600 ადგილობრივ ფერმერს. ბიუჯეტი - 129 962 ლარი.

2021-2022 წლების ციტრუსის სეზონზე რეგიონში წარმოებულ იქნა **60 ათასი ტონა** ციტრუსი. **ექსპორტზე გავიდა 39 268 ტონა** სტანდარტული მანდარინის ნაყოფი, ქობულეთის საკონსერვო ქარხანამ მიიღო და გადაამუშავა **10 245 ტონა არასტანდარტული მანდარინი.**

2021 წელს განხორციელდა ფერმერთა საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სახნავ-სათესი ფართობების უსასყიდლოდ დახვნა. დამუშავდა 2100ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ბიუჯეტი - 823 575 ლარი.

2021 წელს სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა 18 წარმატებული პროექტი. ბიუჯეტი - 1 367 2019 ლარი.

მაღალმთიან აჭარაში სანერგე-საჩითილე მეურნეობების განვითარებისთვის ბიუჯეტი- 379 551 ლარი დაიხარჯა.

ფერმერთა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, უფასოდ გაიცემა 750 000 სარგავი და საჩითილე მასალა, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფს უხვი და ხარისხიანი მასალის მიღებას. ფერმერებს მიეცათ შესაძლებლობა სერტიფიცირებული, ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის ჩითილებით აწარმოონ მაღალი ხარისხის ადგილობრივი ბოსტნეული;

ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობად დაიხარჯა 900 000 ლარი.

ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობებში წარმოებულ იქნა:

- ვაზის 17 281 ცალი ნერგი;
- ციტრუსის 27 307 ნერგი;
- 1 640 ძირი სხვადასხვა სახის ხეხილის ნერგი;

  ბიუჯეტი- 751 663 ლარი.

გრძელდება აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებთან სოფლის მეურნეობის სფეროში (UNDP, USAID, USDA, FAO, TIKA და ა.შ)

სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, UNDP-სა და PwC Georgia-ს ხელშეწყობით ინერგება რისკების მართვის სისტემა.

განხორციელდა სატყეო-სამეურნეო დანიშნულების ახალი გზის მშენებლობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ დაზიანებულ გზას.

ფერმერებისა და მიზნობრივი ჯგუფებისათვის მოქნილი სერვისის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდა ექსტენციის მობილური ლაბორატორია, რომელიც ფერმერებს ლაბორატორიულ მომსახურებას უწევს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებში.

დღეისათვის სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის სფეროებს წარმოადგენს 18 მიმართულება, რომელიც ემსახურება რეგიონის მასშტაბით როგორც სურსათის, სასმელი წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ასევე ფიტოსანიტარულ კონტროლს. სამინისტროს მხარდაჭერით იგეგმება ახალი სფეროების გაფართოება თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვის საფუძველზე, რომელიც ხელს შეუწყობს

ისეთი აგრარული დარგების განვითარებას, როგორიცაა აკვაკულტურა და თაფლის წარმოება, ასევე შესაძლებელი გახდება ცხოველური წარმოშობის სურსათში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნარჩენების, მათ შორის ანტიბიოტიკების კვალის განსაზღვრაც.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

მთავრობა აგრძელებს აქტიურ გარემოსდაცვით პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანიც არის მდგრადი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება.

გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში აჭარაში ინტენსიურად ხორციელდება ატმოსფერული ჰაერისა, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების მდგომარეობის მონიტორინგი, სანაპირო ზოლის ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი.

2021-2022 წელს ტყის დაცვის და მოვლისათვის, ხულოს სატყეო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა 190 ჰა ფართობზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებები. ასევე, ჩატარდა ზღვის წყლის ანალიზი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი; ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი.

2021 წლის 24 ივნისს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KFW) და საქართველოს მთავრობას შორის, რომლის ფარგლებშიც აჭარის სატყეო სააგენტო მიიღებს გრანტის სახით 7 482 000 ევროს. პროექტი ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, როგორც მდგრადი მეტყევეობის დანერგვას, ასევე სააგენტოს ინსტიტუციონალური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

ბათუმში, გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი რეგიონული ოფისის მშენებლობა მიმდინარეობს, სადაც გარემოს ეროვნული სააგენტოს ისეთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეულები განთავსდება, როგორებიცაა: მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ბათუმის ლაბორატორია და აჭარის რეგიონალური ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის, მიკრობიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, იქთიოლოგიური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი იქნება ულტრათანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით და კვლევითი სფეროს სპეციფიკისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. გარემოს ეროვნული სააგენტოს კვალიფიციურ კადრები, რომლებიც დღეს სრულად ამორტიზებულ შენობაში მუშაობენ, ახალი, საერთაშორისო სტანდარტის ინფრასტრუქტურით ისარგებლებენ.

ახალი ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გარემოსდაცვით სფეროში ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გარემოსდაცვით სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზეც აისახება. ამ ვალდებულებათა შორისაა,

ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) პრინციპების იმპლემენტაცია, რომლის მთავარ მიზანს შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვა, ზღვის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და საზღვაო ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენება წარმოადგენს.

2022 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაგეგმილია სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, მათ შორის აგროსასურსათო სექტორის პოლიტიკის შემუშავება და მართვა, აგროსექტორის მდგრადი განვითარება, სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, აგროსერვისის განვითარება რეგიონში, სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი პროგრამა, ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება.